

შინაური საქმეები.

№ 10

ფასი ერთი შაური.

წლიური ფასი სამი მან.

წელიწადი მეთხუთხე

სოფელ-კვირიული გაზეთი.

კვირა, 10 აპრილი, 1911 წელი.

სოფელ-კვირიული გაზეთი

შინაური საქმეებზე "ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში, (საბურთაძის ქუჩის კმ) ბურთაძის სახლში, სიონიანის რუშის № 17). და თბილისში გამოდგომისათვის სომხის ბაზარში, გარდა კვირიკობისთვისა და მდ. ზაზაში. გამოცემა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, გარდა კვირიკობისთვისა და მარიამობისთვის, როცა გაზეთი სულ არ გამოვა. ბბ. ხელის მომწერლებს ვთხოვთ გაზეთის ფასი მთელი წლის ერთად გამოგზავნონ.

წლიური ფასი: **3** მანეთი. | ნახ. წლით: **2** მანეთი. | გაზეთი დებულაბს ყოველგვარ განცხადებებს.

ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: 1) მეთაური. 2) მე ვარ ნუ გეშინინ—მღვდ. იოანე ლუკიანოვისა. 3) სინამდვილე სახარებისა. 4) ფშავ-ხევსურეთის სალოცავები მღვ. ნ. ბაკურაძისა. 5) მეგობარს ლექსი ონოფრე შწირისა. 6) ნარკვევი—ტურნალ-გაზეთებიდგან. 7) უადგილო მომპირნეობა—ხელისა. 8) მისაბაძი მაგალითი—რედ-ისა. 9) იმერეთის სამღვდლოების დებუტატთა წლებიდანდელ ერების გამო—მენ-ისა.

ქრისტე აღსდგა!

ქრისტე აღსდგა—აი აზრი და საფუძველი მთელი ჩვენი ქვეყნიური ცხოვრებისა! „უკეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს ცუდად სამე არს საწმუნოება ესე ჩვენი!“ — ამბობს ჰაელე მოციქული. უძინოა, უმნიშვნელოა და ყოველ აზრს მოკლებული ჩვენი სიცოცხლე, დაუბატებთ ჩვენი მხრით, თუ ეს ორი სიტყვა სრული ჭეშმარიტების მჭერობელი არ არის,



თუ ეს ამბავი უტყუარი და ნამდვილი მომხდარი ისტორიული ფაქტი არ არის. უკეთუ ქრისტე—ეს ჭურჭელი სიძარტლისა და ჭეშმარიტებისა არ აღმდგარა, ჩვენც არ აღვდგებით და თუ არ აღვდგებით, თუ ცხოვრებას არ განვაგრძობთ, მას რათ დავიბადეთ? მაგრამ არა, ქრისტე აღსდგა, ჭეშმარიტად აღსდგა, რაშიდაცუცილობლათ გვაწმუნებს მთელი წუება მოციქულებისა და ჰარველი ქრისტეანებისა. სინამდვილის მხრით არც ერთ ისტორიულ ზიწს იმდენი ისტორიული საბუთი არ აქვს თავის არსებობისა, რამდენიც ამ შემთხვევას—ქრისტეს აღდგომას. დიან ქრისტე აღსდგა, ჭეშმარიტად აღსდგა და სცხენოდეს მღვდელმაჟვან კაიფასთან, ვინც უარსუფს ამ ჭეშმარიტებას მით უფრო, რომ მათი უარყოფა უსაბუთობის ბრალი კი არ არის, არამედ ამ საბუთების არ ცოდნისა და გაუთვალისწინებლობისა; არც კონების ბრალია, რომელიც, ვითომ ვერ ურიგდებოდეს მკვდართა აღდგომას. არამედ ცრუ ამპარტაუნებისა, რომელიც შედეგია ცრუ ქეცნიერებისა. ამპარტაუნება მაშინაც კი უარს ეოფდა სასწაულს, როცა თვალთხედავდა. ჰაჟლე მოციქული კი უბრალო ხორბლის მარცვალში ხედავს მკვდართა აღდგომის მაგალითს და მსგავსებას: „შენ რომელი დასთვის არ აღორძინდის, უკეთუ არა მოკვდის,“ ამბობს იგი.

დიან, ქრისტეს აღდგომა ფაქტი, ფაქტი უტყუარი და ვინც ამას ვერ ხე-

დავს საბრალო და საცოდავი; იგი უბიწნოთ და უაწროთ დახეტილობს ცხოვრების ზღვაში, იგი ეოველთვის უმაღურია თავის სიცოცხლისა და დღე-მუდამ ეკითხება მას უწმუნო ზოეტის სიტყვებით: „სიცოცხლეო. ნიჭო ფუჭო, რათ მოუციხარ ზენასაო?“—

ქრისტე აღსდგა! კიხაროდენ მორწმუნეო! შენთვის ცხოვრება საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს, შენ იცი რომ სიკვდილი მოიკლა და მხოლოდ სიცოცხლე შეფობს, შენ ნათლად გაქვს წარადგენილი მიხანი შენი სიცოცხლისა და ქვეყნად მოგ საუჭობისა, შენ არ გაღელვებს უბრალო კითხვები თუ რათ და რისთვის მოგცემია სიცოცხლე, ეს „ნიჭი ფუჭი“. ქრისტე აღსდგა! ეს იტყვები შენ ეველაფერს გეუბნება და ერთ კითხვასაც არ გიტოებს უპასუხოდ. ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა, მორწმუნეო! ილოცეთ ამ ქრისტეს აღდგომის დიდებულ დღეს, რომ კვლავ თქვენთან ერთად დღევანდელი უარყოფელნიც კულის სიღრმეიდგან სარწმუნოებით ხმობდენ: „ქრისტე აღსდგა!“ „ჭეშმარიტად“!



„მე ვარ, ნუ გეშინინ“!

(მთ. 14. 27).

ბნელი ღამეა... მოციქულები ჩქარობენ ნავით გასვლის ტბაზე. ტბას-კი არეულობა ეტყობა. ქარი წინათაც იყო, მაგრამ ეხლა იწყება დიდი ქარიშხალი და დღელვა.

ვეებერთელა ტალღები თვალ შეუდგამ სი-
მაღლეზე აღიან და დაღუპვის უქადიან ნავს. ნავი
ვერ გაუძღვებს ასეთ საშინელ ღელვას, და მოცი-
ქულები შიშისაგან თავზარ-დაცემულობი არიან.
მოდღვარი-კა მათთან არ არის. ამ წუთში შო-
რიდამ რაღაც ნათელი ლანდი გამოჩნდა შე-
შინებულის და იმედ დაკარგული მოციქულები
ყველგან დაღუპვის მომასწავებელ ნიშნებს ხე-
დავენ. „ეს მოჩვენებაა, ეს დაღუპვის მომასწა-
ვებელია“, — ფიქრობენ ისინი.

მაგრამ „მოჩვენება“ ახლოვდება. იგი იმათ
გვერდზეა, და ტალღების საშინელ ღრან-
ცელში გაისმის მოსიყვარულე საყვედურ-შე-
რეული ხმა:

„მე ვარ, ნუ გეშინინ!“

წყალზე მოძღვარი მოდის.

მოციქული პეტრე გახარებული მიესწრა-
ფვის უფლისაკენ.

— უფალო, ნება მომეცი, შენთან მოვიდე
წყალ-და-წყალ!

— „მოვედ“!..

მოციქული მიდის, მაგრამ სარწმუნოება
მისი სუსტია. იგი ძრწის შიშით, აქაფებულ
წყლის ზვირთებს რომ უყურებს და გრძობს,
რომ იხრჩობა.

„მოდღვარო, მიშველე, ვიღუპები!“!..

და მოძღვარი აღერსიანი სამღურავით
უწვდის პეტრეს ხელს.

„მე ვარ, ნუ გეშინინ“!..

უფალი მაშინვე არ აცხრობს ღელვას.
ამას თავის მიზეზი აქვს.

ამაში ღრმა გაკვეთილია.

ზღვაზე ქარიშხალი და ღელვაა. უნდა
იყვეს კიდევ: ქრისტეს მოწაფეები უნდა მი-
დიოდნენ ღელვასა და უბედურებათა შორის.

უფალი არ აღუთქვამს მათ მშვიდ, მყუ-
დრო ცხოვრებას. მათი გზა ეკლიანია, მჟუხა-
რებისაა, ჯვარის გზაა, და უბედურებათა შო-
რის მისკურავს მათი ნავი...

მაგრამ ამასთანავე, მათთან არ-ს უფალი...

„მე ვარ, ნუ გეშინინ“!..

დაე ქარიშხალმა იჭროლოს და ზღვამ
იღვლეოს... გაიხედეთ, განა ვერ ხედავთ იქით

სინათლეს? შეშინებულებს თქვენ გგონიათ,
რომ ეს მოჩვენებაა, ოცნებაა.

არა, — ეს უფალია; იგი ყოველთვის შზა-
თაა შეეწიოს ქრისტიანებს, რომლებიც მის
საქმეს აკეთებენ.

ნუ გეშინინ!

რა დიდი ნუგეშია ჩვენთვის!.. უფალი
ჩვენთანაა, ჩვენ გზაზეა იგი ჩვენი ცხოვრების
გემის მესაქეა. მაშ რისი უნდა გვეშინოდეს
მასთან ერთად!?!..

„ნება-მომეცი, მოვიდე შენთან!“

აი ქრისტიანის ღირსი პასუხი ღეთაებრივ
მოწოდებაზე.

„ნუ გეშინინ“.

უფალო, მე არ მეშინია შენთან წამოს-
ვლის შენ საქმეზე.

ზღვაზე ქარიშხალია, მაგრამ შენ ჩემთანა
ხარ.

ნება მომეცი, წამოვიდე აღელვებულ
ზღვით, ცხოვრების მღელვარების და უბედუ-
რების ღრანცელში, შენი საქმის საკეთებ-
ლად. წამოვიდე თამამად, არ მეშინოდეს
მომავალი უბედურობისა! წინ სინათლისკენ,
უფლისაკენ, მის სასუფეველისაკენ!..

„მოვედ“ — უთხრა უფალმა პეტრეს.

პეტრე წავიდა, მაგრამ ის კინალამ დაი-
ლუბა.

რატომ?

იმიტომ, რომ ჯერ კიდევ მისი სარწმუ-
ნოება და იმედი უფალზე მტკიცე არ იყო.

იმათ დაიწყო ცქერა ქვეით, უკან იყუ-
რებოდა, ნაპირისკენ და ნავისკენ...

ყოვლად შემძლებელ იესოს მაგიერ, ის
უყურებს წყლის ღრანცელს თავის ფეხ-ქვეშ.

მან მოაშორა თვალი ბრწყინვალე, გზის
მაჩვენებელ მაიაკს.

„მცირემორწმუნეო“, — უსაყვედურებს მას
უფალი.

ეს საყვედური მივიღოთ ჩვენ თავზე, და
მარად გვახსოვდეს ის გაკვეთილი, რაც აქედ-
გან გამოდის

ქრისტიანებო! თქვენ მივიღოთ ქრისტე-
საგან მცნება, რომ გაპყვეთ მის კვალს“.

ეს ნამდვილი და უშიშარი გზა არის ცხოვრებისაკენ.

მაშ შეუდგეთ ქრისტეს კვალს, თუნდ აღელვებული ზღვითაც, თვალები უფალს მივაპყრათ და მღელვარე ზღვა ვერაფერს დაგვაკლებს...

მღვ. იოანე. ლუკიანოვი.



სინამდვილე სახარებისა.

(გლადკოვიძიდან).

ესე უოკელი დააწერა, რათა გარწმუნოს, რამეთუ იესო არის ქრისტი, ძე ღვთისა. (იხ. XX 31).

(გაგრძელება *).

რადგან ოთხი სახარების სინამდვილე, ე. ი. რომ იგინი დაწერილია მათგან, ვის სახელებსაც ატარებენ, ექვსჯარე შედარჩა, ამიტომ უნდა უეჭველადვე მივიღოთ, რომ იგინი დაწერილი არიან პირველ საუკუნეში, მაშინ, როცა მათი მწერლები ცხოვრობდნენ.

ამის შემდეგ საჭიროა გადავსწავტოთ კიდევ შემდეგი საკითხი: სარწმუნონი არიან სახარებები თუ არა? შეგვიძლია ნდობით მოვეპყრათ ყველაფერს, რაც სწერია მათში? შეგვიძლია თუ არა მივიღოთ, რომ ნამდვილათ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც სწერია და ყველაფერი ისე ითქვა, როგორც მხა ებლებმა ჩასწერეს? მაგრამ, სინამ სახარების უტყუარობას საბუთებს წარმოვადგენდეთ, მოვიხსინოთ რას

* იხ. „შინ. საქ.“ № 8.

ამბობენ ამაზე ის პირნი, რომელთაც არა სწამთ იესო ქრისტე, როგორც ღმერთ-კაცი.

იგინი უარყოფენ სახარებაში ყველა მოთხრობებს სასწაულებზე, რადგან, მათი აზრით, სასწაული, როგორც ბუნების კანონების დამარღვეველი რამ, შეუძლებელია და მიუღებელი; იმათ ზღაპრთ მიაჩნია სახარების მოთხრობები ქრისტეს შობაზე და მის ცხოვრებაზე იორდანეზე გამოსვლამდის; ისინი, რათქმა უნდა, უარს ყოფენ მის მკვდრეთით აღდგომას და ამაღლებას, და ლეგულობენ სახარებაში ცნობებს შესანიშნავ მოძღვარზე ნაზარეთით, რომელიც ვითომ პირველად იოანეს მოწავე იყო, შემდეგ კი, როცა იოანე საპურობილეში ჩასვეს, გამოვიდა საკუთარი მოძღვრებთ ებრაელ ხალხის ზნეობრივ განახლებაზე. მაგრამ სახარების მოთხრობაზე ასეთ შეხედულების გასამართლებლათ იგინი დავით შტრაუსის თაოსნობით (იხ მისი თხ „მითიური ისტორია იესოსი“), ამბობენ, რომ მთელი მოთხრობა იესოს ცხოვრებაზე იმ სახით, როგორც იგი აღწერილია სახარებაში, თანდისთან განვითარდა ებრაელ ხალხის წარმოდგენაში იმ მოსაზრებით, რომ იესო იყო მესსია. იმ ხანებში, როცა ი. ქრისტე სცხოვროდა ებრაელები მოელოდნენ მესისას, აღთქმულ მხსნელს. ძველი აღთქმის წიგნების თავისუფალ და გადაქიმულ თარგმანებით შემუშავდა წარმოდგენა, თუ როგორი უნდა იყოს მესსია; ხოლო მოგონებამ ნაზარეთიდან მოსულ შესანიშნავ მოძღვარზე დაბადა ხალხის გონებაში წარმოდგენა, რომ სწორეთ ეს მოძღვარი იყო ის მესსია, რომელსაც მოელოდნენ. რაკი ასეთი წარმოდგენა უკვე დაიბადა, სახარების შემთხვევლათვის ძნელი არ იყო სხვადასხვა მოკონების, სიყალბის და ნამდვილ შემთხვევათა არეუ-დარევის გზით გამოეჭრათ და მოერგოთ იესო ქრისტეზე ყველა ძველი წინასწარმეტყველებანი მესსიას შესახებ. ხალხის წარმოდგენით, მესია უნდა ყოფილიყო: ძე ღვთისა-შთამომავალი ტომისაგან დავითისა, — დაბადებული ბეთლემში, — დევნილი, ვით მოსე (პირველი მხსნელი ებრაელთა) და მასავით გადარჩენი-

ლი,—მსგავსი დავითისა, მოწოდებული მესსიანურ მსახურებისათვის, ცხებული წინასწარმეტყველისაგან, რომელიც უნდა ყოფილიყო ილია, მსგავსად ისრაელისა, განცდილი უდაბნოში,—როგორც მოსე ორმოცი დღის მმარხველი და სხე... და რომ ხალხის წარმოდგენაში შექმნილიყო იესოსაგან მესსია, გადმოცემამ მიაწერა მას ყველაფერი, რაც შეეფერებოდა ხალხურ იდეალს მხსნელზე, მაგრამ რაც ნამდვილათ სულაც არ ყოფილა (არ მომხდარა). მაგალითად, რადგან მესსია ხალხის წარმოდგენით ძე ღვთისა უნდა ყოფილიყო, ლუკას სახარების შემთხვევლამ გამოიგონა მოთხრობა ხარებაზე, რომელშიდაც ანგელოსი პირდაპირ უწოდებს მარიამის მომავალ ძეს ძედ მაღლისა, ძედ ღვთისა; ხოლო ნათლისღების მოთხრობაში, რომელიც მოჰყავს სამ პირველ მახარებელს, ჩამატებულია ზღაპარი თვით ღვთის ხმობაზე, რომლითაც იგი ამოწმებს, რომ ესე არს ძე მისი. იესოს დავითისაგან შთამომავლობის და, მაშასადამე, ბეთლემში დაბადების დასამტკიცებლად მესამე სახარების დამწერმა ისარგებლა ცნობილი ხალხის აღწერილობით, რომელიც მოხდა კვირინას სირიაში მმართველობის დროს; და თუმცა ეს აღწერილობა მოხდა ათი წლის შემდეგ ქრისტეს შობიდან, მაგრამ სახარების დამწერს ეს არ აწუხებდა, მას მიჰყავს მარიამი და იოსები ბეთლემში ჩასაწერათ იმ განზრახვით, რომ იქ ამ დროს დაიბადოს ქრისტე. ამავე მიზნით პირველი და მესამე სახარების დამწერნი თხზავენ ქრისტეს თვისტომობის მოთხრობას და გამოჰყავთ იგი (ქრისტე) დავითის ტომიდან. აგრეთვე მოსეს და იესოს ყრობა რომ ერთიმეორეს დაამსგავსოს და გაამართლოს იესოზე ვალაამის წინასწარმეტყველება შესახებ ვარსკვლავისა იაკობისაგან აღმომავლისა, პირველი სახარების დამწერმა მოიგონა მოთხრობა მოგვებზე, რომელთაც იხილეს ვარსკვლავი აღმოსავლით, მოიგონა მოგზაურობა მათი იერუსალიმში, მათი თაყვანისცემა ყრმისა იესოსი, ღტოლვა მარიამისა და იოსებისა ყრმითურთ ეგვიპტეში და დაბრუნება

მათი შემდეგ იროდის სიკვდილისა. რომ ცხადჰყონ მოსესა და იესოს მსგავსება ურთიერთშორის, პირველი სამი სახარების დამწერთ მიჰყავთ იესო უდაბნოში ორმოცი დღის მარხვისთვის; რომ აღჭურვილყოს იესო ზეგარდმო ძალით, როგორც ძე ღვთისა, ხალხის ოცნებამ მიაწერა მას არა თუ სასწაულთ მოქმედება, არამედ აღადგინა იგი მკვდრეთით და აღმალა ზეცად. ერთი სიტყვით, შტრაუსის აზრით, სახარების დამწერნი გულმოდგინეთ აგროვებდენ ყოველგვარ ზღაპრებს იესოზე და თავს არ იზოგავდენ, რომ მათ დრომდი მოსული გადმოცემა (იესოზე) გადაეკეთებიათ იმ წარმოდგენისადაგვართ, რომელიც ხალხს ჰქონდა შედგენილი მესსიაზე.

ასე სჯის შტრაუსი. იგი ამბობს, რომ სახარების მწერლებმა ისარგებლეს ებრაელ ხალხის მზამხარეული, უკვე შემუშავებული და დამთავრებული იდეალით მესსიაზე, და ყველა თვისებები ხალხურ მესსიისა მიაწერეს იესოს და ამ ნაირათ შექმნეს მისგან ის მესსია, რომელსაც იმ დროს ასე გულით მოელოდენ.

მაგრამ სასტიკად სცდება შტრაუსი. მთელი შინაარსი ჩვენი სახარებისა, მთელი ეს მოთხრობა, რომელსაც იგი მესსიანურ იდეალის შესაფერად განძრახ მოჩამახულ სიყალბეს უწოდებს, თვით იმ დროის მსწავლულ რაბინების შეხედულება, გადმოცემული ტალმუდში, ამტკიცებენ, რომ იმ დროინდელ ებრაელებმა შეჰქმნეს წარმოდგენა მესსიაზე სრულებით არა ისეთი, როგორიც გამოსკვირს სახარების თითქმის ყოველ სტრიქონში. სახარების იესოსა და ებრაელების მესსიას შორის არაფერი საერთო არა არის რა: ეს ორი პირდაპირი მოწინააღმდეგე პიროვნებაა. ებრაელების მესსია უნდა ყოფილიყო დიდებული ქვეყნიური მეფე-მეომარი, რომელსაც უნდა გაეთავისუფლებია იგინი რომაელების მონებისაგან, დაემორჩილებია მათთვის მთელი ქვეყნის ხალხები და გაებატონებია იგინი ამ ხალხებზე. მაშინ როდესაც იესო, როგორც აგვიწერენ მას მახარებლები, ამბობდა, მეფობა მისი არა ამის სოფლისაგან არის; მან უარჰყო სასწაულე-

ბრივ გამადლარ ხალხის გულითადი სურვილი შესახებ მეფედ გამოცხადებისა; იგი ყოველთვის ეჩინებოდა მოციქულებს, რომ მას მოელის ვნება და ჯვარზე სიკვდილი; მან არა თუ გაამართლა დაპყრობა, ე. ი. ძალმომრეობა, არამედ ანდერძად დასდო მტრის სიყვარული და არა წინააღმდეგობა ბოროტებისა ბოროტებით, არამედ დათრგუნვა მისა სიკეთით. გვეითებით, შეეძლო თუ არა ხალხის ოცნებას განეხორციელებია ასეთი თავის წარმოდგენა მესსიაზე, როგორც მეფე-დამამორჩილებელზე, წამებულ და დამცირებულ იესოში? რა თქმა უნდა, არა. ამიტომაც ხალხმა არ მიიღო იგი, როგორც მესსია; ამიტომაც თხოულობდა იგი მის სიკვდილით დასაჯას, როგორც სინედრიონისაგან აღიარებულ ცრუ მესსიას, რომელიც წინასწარმეტყველადაც კი არ იქმნა ცნობილი. შეეძლო კი ხალხის წარმოდგენას მესსიაზე, რომლის სუფევას დასასრული არ უნდა ჰქონოდა, შერიგებოდა მის ჯვარცმის შესაძლებლობის აზრს? ვანა შესაძლებელია ჯვარცმა მისი, ვის შეფობას დასასრული არ უნდა ექნეს? რა თქმა უნდა, რომ არა. ასე სჯიდენ იესოს თანამედროვე ურიები და თითქმის ყველამ (გარდა მცირეოდენი მეგობრებისა) უარჰყო იგი. გარდა ამისა, განმართლება იხრაილის იმედებისა შესახებ მესსიის მოსვლისა უნდა დაწყებულიყო ილია წინასწარმეტყველის მოსვლით; გარნა წინამორბედი იოანე, მოსული სულითა და ძალითა ილიასითა, სინედრიონმა არ სცნო უბრალო წინასწარმეტყველადაც. თუმცა იესო იშვა ბეთლემს, მაგრამ მას ყველა ნაზარეველად სცნობდა, საიდანაც (ხალხური ანდაზით) არ შეიძლებოდა არავითარი სიკეთე; მაშასადამე ამ მხრითაც იესო ნაზარეველის სახელთან არ შეიძლებოდა რაიმე კავშირი ჰქონოდა ხალხის მესსიანურ წარმოდგენას. იესო მუდამ არღვევს სჯულს შაბათის შესახებ, არ ასრულებს მოხუცთა გადმოცემას, ამყარებს სუფევასა ღვთისასა და არა მესსიისასა და ასწავლის ახალ სჯულს; მაგრამ ეს სჯული და ეს სუფევა დასასრულია ებრაელების ოცნებისა მათ ძლიერებაზე, დასასრულ-

ლია მათი სჯულისაც. ბოლოს, რაც უფრო შეუარაცხოფს ებრაელებს წინამძღვრებს და აცთუნებს მათ ისაა, რომ იესო უწოდებს თავის თავს ძედ ღვთისა. ებრაელების მესსიანურ წარმოდგენას სრულებით არ ეყვრება ღვთის ძეობა. და სწორეთ ეს შეიქნა უმთავრესი საბრალდებულო მუხლი, როგორც სინედრიონში, ისე პილატეს წინაშეც.

ამნაირად, უნდა მივიღოთ, რომ ისტორიულ ქრისტესა, როგორც ის დასურათებულია სახარებაში, და იესოს თანამედროვე ებრაელების მესსიანურ წარმოდგენას შორის არავითარი ერთობა და მსგავსება არ იხატება; ებრაელების წარმოდგენა ქრისტეზე არ ეტევა იმ ქრისტეს სახეში, რომელიც დასურათებულია სახარებაში; ამიტომ შტრაუსის აზრი იმის შესახებ, რომ ვითომ ხალხის გადმოცემა და სახარების მწერლები აყალიბებდენ მოთხრობებს იესო ქრისტეს ცხოვრებიდან იმ მიზნით, რომ იესო ქრისტეს პიროვნებაში გაეხორციელებათ მესსიანური იდეა, არის ნაყოფი მისი საკუთარი ფიცხი ოცნებისა და სურვილისა, რომ რაც უნდა მოხდეს და რითაც უნდა იყოს დასაბუთოს თვისი პირადი აზრი იესო ქრისტეზე.

(შემდეგი იქნება)



ფშავ-ხევსურეთის სალოცავები

და
ცოცხალ რამ მათ და მათი მლოცავების შესახებ.

(გაგრძელება *)

ამ დროის გამოჩენილი მკითხვეა კაცია ჟიმშიტა. მკითხვე — ჟიმშიტას გულზე, გარდგან, ძველდღევით მოზდილა გვარცხდის კუარა ჰქიდა და თამამათ თარეშობს, განსაკუთრებით დღეობა-

ების დროს, და ძლოვრეულ ხალხს დარიგებას აძლევს. ამასთან ხატის ძლიერ მიიღობ კიდევ იცის რა სწუხის მათგან (მკითხველებისგან) ხატს, ანუ რა იმეზა და აფრთხილებს ძლოვრეულ ხალხს, ხატო ანაფერზედ არ გაბრახონ, თორემ თუ კ. სმე აწუენინებს ხატს, მამან ხატი მათს შენაწირის აღარ აღარ მიიღებს—არ ჩათუღას მის მოყვანილ მსხვერპლს და სხვა ცხვარს მოაყვანიებს.

გამოცდილმა მკითხვემა ვარგათ იცის, რომ მისს მცნებას უარს კრავინ ეტუვის, ამიტომ გადავლებს თვალს ძლოვრეულ და რაც რამ მოკწონება ხატს მოათხროვინებს. მაგალითებ, მივა და ეტუვის: „ხატი გთხოვს ტანადგან ჩონა, ან ახალუხი, ანუ სხვა რამე ტანისცემელი გაიხადო და ხატს შესწირო! — ძლოვრეული ამბობს: „ოღონ ხატმა ჩემი კი რამე იკადროს და მიითვისოსო.“ რა თქმა უნდა, სისრულეში შოჭყავს მკითხველის ბძანება, ახლის ტანადგან ნაბძანებისამოსს და ხატისთვის სტოვებს. აგრეთვე თუ დედა გაცი ან ქალია, გაბას ანუ შალს, თავზედ მოსახვევს, ან სხვა რამე კვრცხლის ნიკოთულობას იღებს და ხატისთვის სტოვებს. ზოგსაც ფულს ახდევინებს, და ხალხის თვალის ახსვევით მამან ხატს გადასცემს, მაგრამ ეს უკვლავური ხატის კი არა, ხევისბერ—დეკანოზ—მკითხველს რჩებათ თავისთვის, და როცა ხალხი მიღებდებო, მძურათ იყოფენ ნადავლს, თუმიცა ამაში ხალხი სულ ერთნაირათ ბრძა არ არის და ზოგთ ვარგათ ესმით მკითხველ-ხევისბერ-დეკანოზების სრიკება, მაგრამ სიმძავრესთან არაფერი არ გამოდის, რადგანც ხალხის მომეტებულნი ნაწილი უფრო შეუგნებელია და ნამდვილ წმინდა მოკვლებათ მიანხათ ასეთი ჩვეულება. ამ ნაირათ, სამწუხაროთ და საკვალათ, ფშავ-ხევისბერნი, თითქმის მომეტებულ თავანთ ცხოვრებას ჭკარვკენ მკითხველ—ხევისბერ—დეკანოზების გავლენის ქვეშ და სწავლა-განათლების შექმნაზედ იოტის ოდენათ არ ზრუნავენ. მაგალითს ჩემზე ვიტყვი, სოჭკა გიორგიმ: დღევანდელივით მასხოვს რომ, მე რვა ცხრა წლისა ვიქნებოდი. მამჩემს ჩემს ბეტი შეილი არა ჭყუნდა, და ცხოვრებაზე კი ვარგათ იყო; ცხვრის ფარა და სხვა სხვიდ ფეხი საქონელიც ზღოვითა ჭყუნდა. მამჩემს თურმე ურჩია მამან-

დედმა ჩემმა მღვდელმა, ესტატე ღვინიკვი, რომ მე შეოლაში მივებარებინე. მამჩემიც თანახმა შეიქნა და დამამზადა. შეოლაში წასაყვანათ, იმ ხანად წერა-კითხვა მქონდა შესწავლილი, რაიცა ჩემ თავად ხორბებში და ცხვრებში შევისწავლე. რადგანაც ქალაქ-ყარანდაში არა მქონდა და სწავლას კი მწუროდა ვსწერდი ხეზე, ქასზე, თოვლზე, მიწაზე და სხვა რაც შემხვდებოდა. თურმე ეს უკვლითური გავიხილი ჭჭინდა ჩვენ მღვდელისა, და ამისთვის გაბედავინა მამა ჩემს ჩემი უკვლავში წაყვანა და კიდევ დაითანხმა, მაგრამ აი რა მოხდა: იმავე სოფელში იმ დროს მკითხველი თურმე იყო სახელად „მანური.“ თურმე, ნუ ბძანებთ, გაუგია ამ მკითხველს, რომ მამჩემი სასწავლებლათ მცხვრის შეოლაში. მოვიდა და დიდის მუჭარით შეაშინა მამა ჩემი: „ხატს არა სურს, რომ შენ შენი შეილი შეოლაში გამოხადო და ასწავლო, და თუ არ დაიშლი, იცოდე, რა დღესაც შეოლაში მაიყვან შეილი, იმ დღესვე მოგაკვებო.“ იმ იყო და ის, საუკუნოდ გადაწვევითა მამა ჩემმა, მკითხველის შემინებულმა, რომ ჩემთვის არ ასწავლებინა, ოღონდ კი არ მოემკადროფავი, და გამეზანა ისევე ხორბებში.

ესლაც ბეკრი ხდება ამისთანა შემთხვევები, რომ მკითხვემა გლეხს, ორ-სამ ალაგას გადავკვლინოს სახლი; აქ ცუდი ფუძი—ანკლოზი პატრონობსო, ანუ დედა დაგპატრონებათო და სხვა. ბეკრულ ესეც მომხდარა, რომ ცოლქმარიც გაყოფილა მკითხველის სიტუვით, მძას ძმა გადავიდებო, მამა შეილი, მეზობელი მეზობელს და სხვა მაგრამ ფშავ-ხევისბერებს მინც კერ დაჰყარებ, რომ მკითხველი სტუვის...

ცოტა რამ იფრისთვის სალოცებებზედაც. მდინარე იორის სთაკეში ფშავის მალად მთის წვერობაზე, დიწყო გიორგიმ ხუთ ალაგას მე ჩემის თვლით მიანხავს ძველი ნანგრევი შენობები და ეკლესია. ერთი მთა რომელსაც გარეყვას უწოდებენ (მათომ წინათ დავით გარეყვალს აქ უცხოვრიან). ამ მთის კალთაში ძველი მშენებელი ტაძარი არის, რომელიც ნახევრამდე ჩამონგრეულია და ნახევარი მთელია. აქვე მოხანს სამკითხველო-საგურთხეველი და ტაძარში, ტაძრის ქვეშ, ეტუობს საღარო და ცალ-ცალკე ოთა-

ხები დაყოფილი. ტრანჰეს კი ეტეობა, რომ თან-
 ღი ჩამოხტეკული აქვს. ამ ტანის ზემოთ ცოტა
 მომარბით მთის წვერზე კარის საფლავი მო-
 ჩანს, რომელსაც, აქეთ და აქით დიდრონი სეპები
 აქვს მიწაში ჩაფლული, და ზედან სარქველით
 ქვა-საბი აფარია. ამ საფლავს თავით ქვეთვიანით
 ამოშენებული თორნის მზგასი წელის ჩასტეგუ-
 ბელი აქვს. საფლავი გარშემო მტურის მკვარა
 ქვის უკრო უროთ არი შამოზღუდული. აქვე
 მლოცავთ მოუტანათ ოთხ ფუთიანი ზარი და
 დაუვიდნათ ცოტა ამ საფლავის შორი-ახლო. აქ
 ფშავ-ხევისურები ხატობას დღესასწაულად 15-ს
 მარამობის თვეს და ბერი საკლავი ცხარ-
 გურჯატიც იხრება, რასაკვირველია, შეითხვე—ხე-
 ვის ბერ-დეკანოზების გავლენის ქვეშ...

გარეჟა მთაზედ, თითქმის 20 ვერსის მო-
 შორებით, ძეორე ადგილას მალაღი მთის წვერ-
 ზე არის ბლომით დაგროვილი ერთ ალაგას მუ-
 ხის წერილი და მსხვილი ფიფარი. ამ ადგილი-
 დან ტუე ექვს-შვიდ ვერსზე მომარბული. ეტეო-
 ბა, რომ ოდესმე ეს მთის წვერზე საფარი სა-
 სლი უოფილს აშენებული. ამ მთის წვერადგანვე
 ნახევარ ვერსის მანძილზე გამოქვაბულია, რომელ-
 საც მთაწმიდას ეძახიან და კარები ერთი მხრით
 უროთ არის ამოშენებული; აქ წყაროსაც ამბობენ
 არსილ, მგრამ მუ კი დრო არ მომეცა ავსული-
 უჭი და ჩემი თვალთ მენახს. ამ ორ სამლოც-
 კელის შუა სამ ადგილზე მთის წვერებზე
 არის შესანიშნავი ხის შენობები და შიგ წერილი
 ქვერები მიწაში ჩაფლული. ხალხის თქმით, აქ
 ცხოვრებულა ერთი წმიდა ბერი, რომელსაც დიდი
 დურა ტუევი ჰქონია. ერთხელ ძრიელ ცივი ამინდი
 თურმე დადგა და ბერი ტუევიმ ვერ გაათბო, სიცი-
 ჳემ შეაწუხა; ამ დროს მოესმა ზეცით ხმა: „ბერო
 ტუევი ნახდია,“ ე. ი. გადმოხრუნებით ჩაიცვი-
 ტუევიო.“ ბერსაც გადახრუნებია და ტუევი ისე
 ჩაიკვა და უფრო დასობობდა. ესედაც სტან
 ხალხში, გადხრუნებული ტუევი რო ჩაიცვა,
 უფრო თბილიაო. მესამე ალაგას მთას ეძ-
 ხიან „ღოჯას.“ ხალხის თქმით აქ უცხოვროა
 ერთ ბერს, რომელსაც დიდი დოჟი ჰქონია და
 ამიტომ დაწვენიდა მთასაც სახელი „ღოჯა.“ მთა-

წმიდა და ღოჯა მდინარე არაგვსაც დასტეკიან
 და იორსაც; ორივე სალოცკეობა ფშავ-ხერსუთის
 არის... ეს, ზემოხსენებული სამი სამლოცკელო,
 იორსთავის სალოცკეობი და მოყვანილი ადგილები
 და ნიშები შეიძლება გამოკვლეული არც იყოს
 ვისკანმე; ამიტომ არცა იქნება, უფრადღე-
 ბას მიაქვნიდენ ჩვენი არხელდგ-ისტორიკოსები;
 შეიძლება შესანიშნავი არხელდგოური რამე ნივთებიც
 აღმოჩნდეს აქ, ასე დაათვაზ ჩემთან საუბარი გი-
 ორგომ და დამხირდა შემდეგისთვისაც გაიმობთ
 ხალხე მთის ამბებსაო.

ახლა ვეკითხეთ, რათ და რისთვის აშენებ-
 დენ უწინ ჩვენნი წინაპრნი მრავალ კვლენიან-მო-
 ხსატრებს მიუკვალ მთა ალაგებში, რომლის ნა-
 შთებ-ნახტრეებსაც დღეს ჩვენ სალოცკეთა კხე-
 დავო? ჩემი ფიქრით ალბათ იმისთვის, რომ მტე-
 რი ბარათ ხშირათ ძაღას ატანდა საქართველოს
 და თან მუსრავდა კვლესა-მონასტრებს და აი,
 სწორეთ ეს უნდა უოფილიყო მიზეზი, რომ ასეთ
 მიუვალ მთის მწვერვლებზე უშენებათ ჩვენ
 წინაპრთ სამლოცკელოები, რომ აქ მტერი ისე
 ძაღას ვეღარ დაატანდა—ვეღარ შემოუვიდდა,
 და მართლ-მადიდებულ სარწმუნოების აღსრულებას
 ვერ დაუშლიდა და სალოცკეობს ვერ შეუშუსრავდა.
 უწინ ასე უნდა უოფილიყო, მგრამ სამწუხაროთ
 დღეს ამ წმიდა სამლოცკეოებს, უწინდელ წმიდა
 მამების და გულ შემატევიერების მკვირად—გაი-
 ძვერა შეითხვე—ხევის ბერ-დეკანოზები დაჰმტრინ-
 ებიან, და რაც სურთ იმას უშეგებან საბოლოო
 უგუნურ და შეუგნებელ ხალხს. ასე გასინჯეთ,
 ტანსუდაც კი ტანსაცვამს ახდევინებენ გულ უბრ-
 ევილო ხალხს, და არწმუნებენ, რომ სატი ასე
 ბძანებს...

მგონია, რომ ახლანდელ დროში დღემდის
 არავის მოსკლია აზრით ფშავ-ხევისურეთში სა-
 ლოცკეობში სადმე კვლესია აშენებია, და დღეს
 მამა—ილარიონი, როგორც ზევითა ვსთქვით,
 თავგანწირვით ადგია ამ საქმის განხორციელებას.
 სულით და გულით უსურვებთ, რომ მამა ილა-
 რიონს აღმოსწინდეს ვინმე გავლენიანი პირთა-
 განა თანამგრძობელი და მხარის დაძვერი. ვი-
 სურვებთ ეტრიავე, რომ ჩვენ სასულიერო მთა-

კრობსაც მაქციოს ეურადლება, მამა ილარიონის დაწუებული საქმისთვის და შემწეობა-დახმარება აღმოკნინოს...

მღ. ნესტორ ბაკურაძე.



მეგობარს.

უკვლავება განიერი
თუ ამო ფიქრება,
აზრ—სიმაღლის გამარჯვება
მხელად ფუჭე სიტყვება,—

განა დირს რომ მოწიწებით
მის წინ მუხლი მავიჯრო:
თავი დაესდა სიმაღლისთვის,
სიკეთისთვის სისხლი ვღვარო?

თუ ამ ქვეყნად მისთვის ვცხადებ,
ცოცხლ-სამარს ჩაუყარო,
რათ დამინი, რაცა მიწვევ,
რომ ვაძვე და გაფხარა?!

თუ გულში გაქვს, რომ ხვალ ნიხით
გაბივებულს შემეყარო,
რას მატყუებ, რომ მარწმუნებ,
სამუდამით შემეიჯარო?

თუ ეს ჩვენი ერთმანერთის
ტრფიადება, სიუვარუდი,
წმიდა გრძობათ ნაკადუდის
გადმოჩქევი მფრანავ გული,

მხელად თავის მოტყუება,
დრავებითი სამთურადება
დაეს, და ხვალ ვი ცოც მიწაში
სამუდამით ჩანთხევა,

მამ რა აზრით მოწიწებით
მის წინ მუხლი მავიჯრო,
გეთაყვანო, ვეტრფიადო
გული მივცე, შევიუვარო?

ნუ თუ ამ ტყვრს, ქართ ადგვიდს,
აქვს უთულება-აზრი ზენა,
ვადრე შეკრულთ ზენარ გრძობით,
შეგებარო, შე და შენა?

მძღვეს რწმუნა, რომ ჩვენი სულის
ლტოლვიდება უბოლთა,
სიუვარუდის მუდმივ დენა
მის მოწმე და სიმბოლთა.

ონოფრე მწირი



ნ ა რ კ ვ ე ვ ი.

(ყურნალ-გაზეთებიდან)

✦ მოსკოვში „თავისუფალ საქმეებზე“ აჯადუქმის“ დაარსების საკითხი რომელიც აღძრეს პროფ. მ. ა. მენზბირმა და ნ. ა. უმოვმა სრული თანაგრძობით მიიღო მოსკოვის საზოგადოებამ და კეთილი სურვილის სამფლობელოდგან პრაქტიკული განხორციელების ნიადაგზე გადადის.

✦ საზღვაო სამინისტროს განკარგულებით საზღვაო სამხედრო აკადემიის სტუდენტებს ჩამოერთვათ პროფ. პოლკ. კლადოს ლექციების კურსი შესახებ სამხედრო ხელოვნების ისტორიისა, კურსიდან ამოგლიჯეს და დასწავის ის ფურცლები, რომლებშიდაც ავტორი კრიტიკულად აფასებდა ზოგიერთ ჩვენ აღმინისტრატორთა მოქმედებას რუს-იაპონიის ომის დროს. ამ აპერაციის შემდეგ წიგნები ისევ

უკან დაუბრუნეს მსმენელებს.

(შკოლა და ცხოვრება)

სახელმწ. სათათბიროს წევრმა შეჩკოვმა ჩემბარის საეროებო უბრავეის თავმჯდომარისაგან მიიღო მოწოდება, მონაწილეობა მიიღოს ფულების შეკრებაში ჩემბარაში ვ. გ. ბელანსკის სახელობაზე სახალხო სახლის ასაშენებლათ ამაზე შეჩკოვმა შემდეგი პასუხი გასცა „Земщина“-ში: მე სრულებით არ ვიცი, საიდან გიშოვეთ თქვენ ისეთი საბუთები, რომ ვ. ბელინსკის დაფასებაში მე თქვენი თანამაზრე ვარ და არა თ. მ. დოსტოვესკისა. მე მომხრე ვარ თ. მ. დოსტოვესკისა და ერთ კაპეისაც არ ვავიდებ ისეთ მოღვაწის სადიდებელათ, რომელმაც მისცა დასაბამი ჩვენ ნიგილიზმს (ურწმუნოებას, უარყოფას). გიბრუნებთ უკანვე თქვენ ხელ მოსაწერ ფურცელს.

(„Школа и Жизнь“).

სარატოვის სემინარიის გამორიცხელმა შეგირდმა ფინური დანით დასკრა მუცელში და ბეჭში ამავე სემინარიის რექტორი ცულებროვსკი, რომელიც გადაიცვალა. სემინარიელებს ჩხრევენ და ატუსაღებენ. სინოდმა რევიზორი გაგზავნა.

(„Школа и Жизнь“)

როგორც გაზ. „Славо“ იუწყება, სახელმწიფო სათათბიროს 102 დეპუტატმა თავის მხრით საშუალო სახელმწიფო სკოლის პროექტი შეიტანა სათათბიროში.



უადგილო მომპირნეობა.

არა ერთხელ აღვინიშნავს ჩვენი საკათედრო ტაძრის უნუგეშო მდგომარეობა სიწმინდისა და სიფაქიზის მხრით. ეს ერთადერთი სიწმიდეა ქალაქ ქუთაისში, სადაც ხალხი თავს იყრის თავის ზნეობრივ ვალის აღსასრულებლად და თავის გრძობების გადასაშლელად უმადლესი არსების წინაშე. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ადამიანი გრძობს თავის სიმაღლეს და სიდიადეს ქვეყანაზე, სადაც ქვეყნიურ ზრუნვასა და შფოთს ადგილი არ აქვს, ადგილი არ აქვს აგრეთვე ქვეყნიურ გართობებს, რომლებსგანაც დაფარული არ არის არც ერთი ჩვენი საზოგადო დაწესებულება. და ასეთ ადგილზე უწმინდურება, უსუფთაობა, სწორეთ რომ საწყენია და სათაკილო! ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს ჩვენი სასულიერო და სერო ქალაქის მამების გულ გრილობას საღვთო საგნებისადმი საზოგადოთ. თავიანთ სამყოფელ ეზოებისა და სახლების სისუფთავეს ისე უფრთხილდებიან, როგორც საკუთარ თვალის ჩინს; ერთ წუთსაც ვერ მოისვენებენ, რომ სობოროს გაღაფნის უსუფთაობა თავის კარმიდამოში ნახონ, აქ კი ეს არავის თვალში არ ეჩხირება, არავის არ აწუხებს. განსაკუთრებით სობოროს გამგეობაა აქ დანაშაული. დიდი საქმე არ იქნება ერთი სანაგვე იაშიკი დაიდგას და სობოროს ეზო ყოველ დილით იგვებოდეს. თუ ტაძრის გაღაფნის უსუფთაობა მომპირნეობაა, რომლითაც განსაკუთრებით განირჩევიან სობოროს მმართველნი, უნდა მოგახსენოთ, რომ უადგილო და უსაფუძვლო მომპირნეობაა, როგორც უადგილო და შეუწყნარებელია მათი მომპირნეობა, როცა სამღთო მსახურების განშვენებისათვის დიდ დღესასწაულებში საჭიროა ქანდის ანთება და სხვა.

ძველი ქალაქის მმათველობა არაფერ ყურადღებას არ აქცევდა სარწმუნოებრივ საგნებსა და ადგილებს; მან უარჰყო, მაგალითად, იმავე საკრებულო ტაძრის ეზოს შემორავვა, ე. ი. დააკანონა ეზოს უსუფთაობა. რას იზამს ახალი გამგეობა, ამას მომავალი გვაჩვენებს, მაგრამ დარწმუნებული კი ვართ, რომ იგი

ძველი მამების გზას არ დაადგება და თუ თვით ვერაფერ შემწეობას აღმოუჩენს ტაძარს ამ მხრივ, მალე ნებას დართავს მაინც, რომ გალავანი შეიღობოს, რისთვისაც, რის ვაი ვაგლახით ჩამოტოვილი, ჩამოთხოული, საქირო ფული უკვე მზათ არის“.

არ შეგვიძლია არ უსაყვედუროთ სობოროს გამგეობას აგრეთვე უმოქმედობა და უადგილო დათმობა ქალაქის გამგეობისთვის ეზოს შეუღობაგობისა. მის შეეძლო საქმე უმაღლეს მართველობის წინაშე გაესაჩივრებია, რომელიც, სრული დარწმუნებული ვართ, ყურადღებით მოეპყრობოდა ამ საკითხს. უნდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით მოვახსენოთ სობოროს გამგეობას, რომ გაუნძრევლათ და მართო მიწერ-მოწერით არაფერი კეთდება და, თუ კეთდება, ძალიან გვიან ოთხ ხუთ დღემს იქით. მართა წირვა ლოცვის უგულო ასრულებასი არ მდგომარეობს უფლისა და წმ. ადგილების პატივისცემა.

ხელი.



მისაზადი მაგალითი.

როგორც გაზ. „კოლხიდა“ გადმოგვცემს მუთისში შემდგარა ახალგაზდების წრე, რომელსაც განუზრახავს პატარ-პატარა წიგნების თარგმნა და გამოცემა თავისი ხარჯით ხალხში გასავრცელებლათ; ჯერ-ჯერობით გაბოლუკით შემდეგი წიგნაკები: მოთხრობათა კრებული, თარგმანი ივ. შიფთანისა; ეპისკოპოზი მირიელი თარგ. მ. ბერეკაშვილისა; სინდისის ხა, თარგმანი მ. ნოზაძისა; მოგზაური, თარგ. მლიაშვილისა; ცხოვრების გზა, თარგ. ალ. შირაქაძისა. მითო წიგნაკის ფასი ორი კაპიკია და, რომდენათაც ფულით, (?) გამოცემლებს იმდენი უხარი გამოუჩენიანთ, რომ

უმეტესი ნაწილი გამოცემული წიგნაკების გაყიდულია.

ბარაქალა იმ ახალგაზდებს, რომლებიც ასეთ სასარგებლო და სასიკეთო გზას დასდგომიან. სამშობლო მხარე და მისი ღარიბი სწერო ლიტერატურა დაუმაღლებს და დაუფასებს მათ თავის დროზე ასეთ მოღვაწეობას, მით უფრო, რომ, როგორც, სწანს ჩამოთვლილი ორიგინალებისაგან მათ პროგრამაში არ შედის მოდური აღმაგზნებ-აღმაშფოთებელი იდეების გატარება საზოგადოებაში. ვისაც სურს თავის ერს სიკეთე მოუტანოს და ბედნიერების გზაზე დააყენოს წინასწარ საოცნებო და ათას წელიწადს იქით განსახორციელებელ უტოპიებით კი არ უნდა ჰკვებავდეს მას, არამედ დროისა და ადგილის შესაფერ სწავლა მეცნიერებით. ყველაზე უწინ კი ყოველ მოღვაწეს მალა უნდა ექიროს ზნეობრივ-სარწმუნოებრივი დროშა, რადგან უზნეო და ურწმუნო ხალხში არაფერი გაკეთებულა და არც არაფერი გაკეთდება. სადაც ადამიანის მოქმედება არ არი გამსჭვალული ქრისტიანული ძმათმოყვარეობით და ამ გრძნობას დარაჯათ არ უდგია სარწმუნოება, იქ არც საზოგადოებრივი ცხოვრებაა შესაძლებელი, იქ მხოლოდ მარტოოდენ სარგებლობის გრძნობა შეაერთებს ადამიანებს ისე, როგორც სავაქრო წარმოებაში, კოოპერაციებში და სხვა და ასეთი საზოგადოებაც მანამდი არსებობს სანამ სარგებლობს იმედი უნდა ექიანიოთ, რომ ჩვენ ახალგაზდა მოღვაწეებს ეს გარემოება კარგათ აქვს გათვალისწინებული და ამიტომ ხალხს ისეთ მასალას მიაწვდიან, რომელიც დღიურ ქირ ვარამს შეუმსუბუქებს, ზნეობას აუმაღლებს, კეთა-გონებას გაუმახვილებს და სარწმუნოებას განუმტკიცებს. ამ იმედით გატაცებულნი სიხარულით ვეგებებით ჩვენი ახალგაზდობის სასიკეთო დაწყებულებას. ჩვენ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავით ჩვენი ახალთაობის სასარგებლო მუშაობის უნარში, მხოლოდ ამ უკანასკნელმა მოდურმა მოძღვრებამ, როგორიც არის მარ. ქსიზში და სხვა გაიტაცა იგინი, მაგრამ გატაცებაც არის, რომ გატაცებული მალე იგრძნობს თა-

ვის შეცდომას და მალე დაუბრუნდება ქვეშაურიტ გზას.

რამდენადაც გვახარებს ამ ახალგაზღვრულ დიადი განზრახვა, იმდენათ გვალონებს ის გარემოება, რომ ასეთი საქციელი ახალგაზღვრებისა მაგალითად უნდა დაუყენოთ მხცოვანებს, განსაკუთრებით სულიერ მამებს, რომლებიც არ ცდილან და არ ცდილობენ ამ გზით ნაღვის განვითარებას, არ უზრუნიათ და არ ზრუნავენ სამშობლო საღვთისმეტყველო ლიტერატურის გაღვიძებასა და გამდიდრებისათვის იმ ლიტერატურისა, რომელსაც აგერ ასი წელიწადია ერთი, ღირსშესანიშნი კი არა, უბრალო წიგნაკიც არ მომატებია. ვწუხვართ და თან იმედით აღსავსე მივმართავთ ყველა შეგნებულ სამღვდლო პირს, რომელსაც სარწმუნოების განმტკიცება და აღორძინება თავის საღვთო მოვალეობათ მიაჩნია, ხელი შეუწყოს სამშობლო საღვთისმეტყველო ლიტერატურის განვითარებას ძველი ხელნაწერების და თარგმანების ბეჭდვაგამოცემით, აგრეთვე ხელი შეუწყოს სახალხო გამოცემებს შესახებ ჩვენი ეკლესიისა და მისი ზეციური მფარველებისა—მისი წმინდანების ცხოვრებისა. განსაკუთრებით მივმართავთ სემინარიელებს, რომლებსაც სამწუხაროთ და სამარცხინოთ თავისდა დღემდის არაფერი გაუკეთებიათ. დროა შეუდგეთ ჩვენ საღვთო მოვალეობის მტკიცეთ შესრულებას. ესლა სხვა მოძღვარი ეპირვება ხალხს, სხვა მოქმედია საქირო ქრისტეს ვენახში.

დღეს, მაცხოვრის აღდგომის დღეს მტკიცე ფიცი დავსდევთ, რომ თავს შევსწირავთ ჩვენ საღვთო მოვალეობას და მედგრად შეუდგებით სასულიერო ლიტერატურის აღორძინებას! ჩვენი შემკავშირებელი ამ საქმეში წმ. მთავარ მოწამის გიორგის სახელობაზე დაარსებული იმერეთის სარწმუნოებრივ განმანათლებელი ძმობა იყოს!

ქრისტე აღსდგა და აღდგეს ჩვენშიდაც წარწმუნოება მისი. ქრისტე აღსდგა!..

რედ.



იმერეთის სამღვდლოების დეპუტათა წლევანდელ ერების გამო.

(დეპუტატის შთახულებანი).

„homo hominis lupus est.“ ამბობს ლათინური ანდაზა. არ ვიცი, რამდენათ ამართლებს ამ ანდაზის დედა აზრს ჩვენი კურთხეული სამშობლოს სხვა წოდება, ანუ კლასი, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვსთქვათ, მხოლოდ ის კი იქვს გარეშეა, რომ იმერეთის სამღვდლოების აწინდელი ურთიერთობის დასასურათებლათ ზედ გამოკრილია ისა. წინათაც ვფიქრობდი ასე, ვფიქრობდი, რომ ჩვენს სამღვდლოებაში ერთმანეთის ჭამას და სამარის თხრას უფრო მეტი ადგილი აქვს დათმობილი, ვინემ ერთმანეთის სიყვარულს, სულიერ კავშირს და აღმაფრენას თქო; მაგრამ ეს ჩემ საკუთარ აზრათ მიმაჩნდა და ხომ მოგეხსენებათ, რომ „humani erari est“—ადამიანი შეცდომის შვილია, და ამიტომ ჩემი ასეთი შეხედულების სისწორეში ხშირათ ეჭვი შეზარებოდა. საუბედუროთ, წლევანდელმა ჩემმა დეპუტატობამ ყოველივეს ფარდა ახადა, იქვი კვამლათ მიქცია და მწარე სინამდვილესთან პირისპირდამაყენა. დიხ, მწარეთ მოსაგონარია ის სინამდვილე, რომელიც მე ვისმინე და ვიხილე სამღვდლოების დეპუტატთა წლევანდელ კრებაზე. დავიწყათ იქიდგან, რომ მოწინავე წოდების, ერთ დროს სულიერი კულტურის მებაირახტრის, მოწინავე პირთა კრებას სრულიად არ შეეფერებოდა ის ტენიკა და გარეგანი სახე, რომელშიდაც ის სწარმოებდა; აქ წესიერების ნატამალიც აღარ სჩანდა, გაისმოდა მხოლოთ ყვირილი სულიერ მოძღვართა, რომელთა რიცხვი ორმოცს არ აღემატებოდა, მაგრამ მათი ხმამალაღი დადადი კი—ორასისას აქარბებდა. სად იყო დალაგებითი მსჯელობა, ერთმანეთის გაგონება და წესიერ კალაპოტში მიმდინარე კამათი. მაგრამ ყოველივე ამან თქვენი ქირი წაიღოს: კრების გარეგანი

სახის სიღებქირეს ვინ ჩასთვლიდა რამეთ, რომ მისი სულის (შინაარსის) სიმშვენიერე, სისალე და განიერება ჩურობდეს თქვენს ყურადღებას. მაგრამ სწორეთ აქ არის წაბორძიკების ქვა, ჩემო ძვირფასო მკითხველო! ბოროტი სული, რომელიც საკუთარ „მეს“ გაღმერთების და ერთმანეთის შურის და გაუტანლობის სახით ჩვენს მრავალ ტანჯულ სამშობლოს იცამეტე საუკუნეში მოველინა, ხოლო მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს სრულიად ჩააქრო მისი საარსებო ცეცხლი, იმერეთის სამღვდლოებაში, სჩანს, კვლავ განაგრძობს თავის განმანადგურებელ მოქმედებას. კაცობრიობის სულიერი და ნივთიერი კულტურის აღორძინება და წინსვლა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ყოველი ახალი აზრი და აღმოჩენა მეტწილად ამა თუ იმ დარგში უარყოფილიყო და დაბადებისთანავე გამქრალიყო მხოლოდ იმიტომ, რომ ესათუნს აზრი და აღმოჩენა ეკუთვნოდა ამა თუ იმ პირს, და არა ყველას ერთათ. ჩვენს სამღვდლოებაში კი ეს ასეთე არ არის. ამ ხუთი ეკესი წლის განმავლობაში მრავალი მომწიფებული აზრი და დროს შესაფერი მოქმედების გეგმა იქმნა წარდგენილი სხვა და სხვა პირისაგან სამღვდლოების დებუტათა კრებაზედ, მაგრამ ყველა ისინი უარყოფილ აქნენ მხოლოდ იმ დაბალი მოსაზრებით, რომ რატომ ეს აზრი, პეტრეს ან ივანეს თავში დაიბადა პირველათ, და არა მასში, და ან რატომ ამ საქმეს სათავეში უდგია, ესა და ეს პირი, რომელთანაც ის პირადათ პირქუშათ არის. მაგალითებისთვის არხივების ჩხრეკა არ დაგვიკირდება. ავილოთ თუ გინდ „სასულიერო განმანათლებელ ქმობის“ აწინდელი ყოფა-მდგომარეობა, ნუ თუ ამ „ქმობის“ მიზანი დროსა და გარემოებასთან არ არის შეფარდებული, შესაძლებელი? ნუ თუ სამღვდლოება, თუ კი მას შერჩენია იდეური სიძლიერის სურვილის ნაპრწყალი, ხარბათ არ უნდა დაწაფებოდა ამ „ქმობას“ და თავისს მთავარ სიზრუნველ საქმეთ არ გაეხადა ისა? ვინ უნდა ყოფილიყო ამ საქმეში მანათობელი ვარსკვლავი და გზის გამკაფავ-მაჩვენებელი? რა-

საკვირველია, სამღვდლოების დებუტათა კრება, როგორც ერთათ ერთი მკვიდრი ორგანო მისი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. მერე რა გააკეთეს ამ კრებებმა ამ საქმის წინ წასაწევით? აჯერ სამი წელიწადა—თითქმის ყოველ კრებაზე იყო წამოყენებული საკითხი ამ „ქმობის შესახებ, მაგრამ წლევანდლამდის უბრალო აზრის გაცვლა-გამოცვლაც კი არ ყოფილა მის შესახებ; წრეულს კი, რადგან კრების პროგრამაში იყო შეტანილი საკითხი ამ „ქმობაში“ სავალდებულოთ ჩაწერის შესახებ მის გარშემო ერთი „ორონტრიანიო და განგაში ასტყდა, რომლისაგანაც ნათლათ გამოსქვიოდა პირადი ინტერესების ნიადაგზე აღმოცენებული ღვარძლი და ჩვენი დახურდაცვბ-დაწვრილმანება იქამდის, რომ მცირედი ნივთიერი მსხვერპლით ვზომავთ ჩვენ მოძღვრთლ ვალს და მწოდებას. პირველი ქვა ამ „ქმობის“ და მისი იდეის ჯერ კიდევ აუშენებელ-დაუსრულებელ შენობის დასანგრევათ ამ კრებაზე გაისროლა მ. იას. კაპანაძემ. მისი დიდი რიხით და ფართი-ფურთით რუსულს ენაზე წარმოთქმული სიტყვა (ეს სულიერი მამა, სჩანს, ქართულის კოდნაზედ მწყრალათ უნდა იყვის, რადგან მისი მქუხარე(?) სიტყვა მუდამ ამ ენაზე გაისმის) წარმოადგენდა სისტიკ ოქმს „ქმობის“ გამგეობის წინააღმდეგ: „გამგეობა გულ-ხელდაკრეფილია, არაფერს არ აკეთებს, ანგარიშს არ იძლევა, მოქმედების უნარს ვერ იჩენს, აი მთავარი მუხლები ამ ოქმისა. იყო დრო, რაცა ესევე მამა კაპანაძე ჰიმნს უგალობდა გამგეობას და ეს დროც შორს არ არის. მაშ რამ გამოიწვია მის შეხედულებაში ასეთი ძირითადი ცვლილება „ქმობის“ გამგეობის აწინდელ შემადგენლობაზედ? რა მოხდა მას შემდეგ? არაფერი, მხოლოდ მამა კაპანაძისა და „ქმობის“ გამგეობის ერთ-ერთ წევრს შორის შავ კატას გაურბენია, მათი პირადი ურთი-ერთობის პორიზონტი შავ ღრუბლებს მოიცვს... და აი, პირადი ცხოვრების მწვერიანი ნაშხეფები საზოგადო საქმის ანკარა წყალს სწვდენ, აამღარიეს და მოსწამლეს ის. ჩვენ არ შეუდგებით „ქმობის გამ-

გეობის დაცვას, ამას ის თვითონ ბევრათ უკეთ შესძლებს, მხოლოდ ვიტყვი კი რომ, იმ სულის გამყინავი უთანაგრძნობობისა და ინდუფერენტობის შემდეგ, რომლითაც ჩვენ მის წარმოშობას მივეგებეთ, რა ზნეობრივი და იურიდიული უფლება გვაქვს ფართო მოთხოვნებით მივადგეთ კარს გამგეობას? თუ—ჩვენ მხოლოდ სხვისგან მოვითხოვთ გმირულ თავგანწირულებას საზოგადო საქმეში და თვითონ კი კენჭის გადაბრუნებას არ გვსურს მისს სისარგებლოთ? მამა იას. კაპანაძემ „ძმობის“ გამგეობის უმოქმედობის დაასასურათხატებლათ სხვათა შორის ისიც განაცხადა, რომ მან, გამგეობამ, არ დამავალა თორემ მე მზათ ვიყავი რამოდენიმე სასულიერო ზნეობრივი შინაარსის საუბარი გამემართა სხვა და სხვა ადგილასო. მე ვერ წარმომიდგენია, როგორ მოხთა, რომ „ძმობის“ გამგეობა წინ ვადავლობა მამა კაპანაძის ასეთ სიმბატიურ განზრახვას? ორში ერთი ან მამა კაპანაძის ასეთი განცხადება მხოლოდ გაკრიკლებული ფრაზა იყო დემაგოგიური მოსაზრებით წამოსროლილი, ანდა, რაც უფრო სამარცხვინოა ისეთი იდეალისტიკისათვის, როგორიც მამა იას. ბრძანდება, მისს განზრახვას კავშირი ჰქონდა ოხერ „ქანქარის“ საკითხთან... დიახ ეს ოხერი „ქანქარის“ საკითხი, წყეული „ეკონომიკა“ მლილივით თან დასდევს ყოველ ჩვენებურ კეთილ დაწყებულებას და გაფურჩქნამდის აკლექებს და აქრობს მას. ჩვენ მღვდლები, სხვებს უკიუიენებთ და უწუნებთ — ყოველგვარი მოვლენის ეკონომიური თვასაზრისით ახსნას და გადაწყვეტას, ხოლო ნამდვილათ კი, არც ერთი კლასი—არც ერთი წოდება ასთე არ არს შებოქვილი მატერიალისტურ შეხედულებით ისტორიაზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, როგორც სამღვდლოება. მაშ რა ჯადო ქარით, თუ არა ასეთი შეხედულებით, აიხსნება ის გარემოება, რომ დებუტათა უმრავლესობამ მხოლოდ პლატონიური სიყვარული გამოუცხადა, „ძმობას“ და არა ნა დვილი, ქრისტიანული და ცხოველ-მყოფელი? მაგრამ ამას ხომ სამღვდლოების ჯიბის შენძრევა მოყვე-

ბოდა და ასეთი „ოპერაცია“, როცა ის სამღვდლოების ჯიბის ეხება, დებუტათა აზრით ძალადობაა, თავისუფალი ნების თავისუფალი გამოხატულების შეხუთვაა!.. დიდებული აზრია მაგრამა ბატონებო, რატო მაგრე მაღალ აზროვნულათ მაშინაც არ ვმსჯელო ბთ, როცა საქმე ჩვენი მოყვისს ჯიბის შენძრევაა—კი არა. ხშირათ განადგურებასაც შეეხება—ჩვენვე ვსარგებლობთ? ეს ხომ გოტენტოტური მორალია!

თუ კი „ძმობის“ არსებობას და აყვავებას მჭიდრო კავშირი აქვს ჩვევენ საღმრთო მოვალეობასა და მოძღვრულ მოწოდებასთან, „თუ ძმობა“ შესძლებს დაქაქული ძალა მორწეუნე საქართველოს შეაკავშაროს სამშობლო ეკლესიის გატეხილი სახელის აღსადგენათ და მისი ისტორიულ-კანონიურ გათელილ უფლებათა დასაცველათ, მაშინ რატომ მას არ უნდა ვუცქეროდეთ—როგორც ეროვნულ საქმეს და მის ასაღორძინებლათ ვერიდებოდეთ ისეთი ნივთიერი წვლილის გამოღებას, რომელიც სამღვდლოების დღევმდელ ბიუჯეტზე ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებს? მაგრამ კრებამ ამ მხრით საკიოხს არ შეხედა და გამოუცხადა რა „ძმობას“ პლატონიური*) ცბიერი, მუხანათური სიყვარული, სინილისი დაიმშვიდა თითქო მისგან მეტი არა ითხოვებოდა რა. და ეს ასე მოხთა იმიტომ, რომ ჩვენი მოქმედების დროზედ მსხვილი ასოებათ აწერია: საკუთარი „მე“ და ცნობილ ლიუდოვიკის ცნობილი იტყვები: „ПОСЛѢ МЕНЯ—ХОТЬ ПОТОПѢ.“

*) ავღორი ფიცხობს, რომ კრება მხოლოდ პლატონიური სიყვარულით შეხედა „ძმობის“ საქმეს, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენაა, რომ ეს პლატონიური სიყვარული ვალე შესაფერ ნაყოფს მომიღებს.

რძ.



შემდეგი „შინ. საქმ.“ ნომერი უქმეების გამო
 25 აპრილს გამოვა.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ზ ა ნ ი .

ТИПОГРАФСКИЕ

И ЛИТОГРАФСКИЕ СЛУЖАЩИЕ,

наборщики, накладчики, стереотипщики, машинисты, цинкографы и т. д., ищущие мѣста и содержатели типографіи, нуждающіеся въ служащихъ, сообщаютъ объ этомъ черезъ

„Всеобщій Типографскій Указатель,“

который читается во всѣхъ безъ исключенія типо-литографіяхъ всей Россіи. Предложеніе труда—50 коп. за публикацію. Спросъ труда—30 к. строка. Можно пересылать почтовыми марками. Пробный № БЕЗПЛАТНО.

Редакція и контора Москва, Мясницкая 20.

„შინაურ საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

კლიროზის უწყებები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (ВѢДОМОСТИ) წლიური სა-
 ბლადოჩინო ანგარიშებისათვის. ბლანკები „შობის“ გამოცემა და ფულიც მას ეკუთვ-
 ნის. ფასი ბლანკებისა — რწვეილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს — 4 კაპ.
 ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Правленіе религіозно-
 Просвѣтительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.



იოსებ ხელაძის

სტამბა

ქუთაისში

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს:
 რუსულს, ქართულს და აგრეთვე ევრ. ენებზე.

საქმე სრულ-
 ღდება სუფთად და **თავის დროზე**

სტამბა
 მოთავსებულია
 ალექსანდრ. ქუჩ.,
 კქიმ გოკიელის
 სახლებში.

სტამბა
 გაუმჯობესებულია
 — მრავალი —
 ახალი შრიფტებით.



დაიბეჭდა და იყიდება „შინაური საქმეების“
 გამოცემა

შემდეგი წიგნაკები:

თავის დროზე

არს კას-კლს.

რუსულიდან გადმოთარგმნილი.

მოსსენება

პროფესორ ა. ყაგარელისა.

ნათარგმნი

სინოდის ორგანის „Церковныя Вѣдомости“-დან,
 1906 წლ.

მოწმობანი მე XVII—XVIII სს-ზე. ოფიციალურ
 მწერ-მოწერებისა საქართველოს (აჭყრის)
 ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.



(Типографія Хеладзе въ Кутаисѣ.)